www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევა

2017

წლის შედეგები

31.10.2018

www.geostat.ge

31.10.2018

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2017 წელი)

2017 წელს საქართველოში საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული 64 ეკონომიკური სუბიექტი ფუნქციონირებდა, რომელთა 82,8 პროცენტი ქალაქ თბილისშია, ხოლო 9,4 პროცენტი - აჭარის, 3,1 პროცენტი - იმერეთის, 3,1 პროცენტი - ქვემო ქართლის და 1,6 პროცენტი - შიდა ქართლის რეგიონებშია განთავსებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით:

გრაფიკი №1

საქართველოში მოქმედი საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით 2017 წელს



გზავნილების მიწოდებას საქართველოში 2017 წელს ახორციელებდა საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების 174 სერვის ცენტრი, რომლებშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3,7 ათას კაცს შეადგენდა. მათ შორის 906 კურიერი, ფოსტალიონი და ფელდეგერია.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2017 წელს საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლებმა 72,7 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან საერთაშორისო საფოსტო-საკურიერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 79,0 პროცენტს შეადგენს, ხოლო 21,0 პროცენტი ადგილობრივი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალლებია.

საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების 44,4 პროცენტი ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების კატეგორიას წარმოადგენს, რომლის 84,3 პროცენტი მოდის საერთაშორისო გზავნილებზე, ხოლო 15,7 პროცენტი - ადგილობრივ გზავნილებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა:

გრაფიკი №2

ამანათების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა 2017 წელს



საფოსტო და საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლის 26,6 პროცენტი წერილობით კორესპოდენციებზე მოდის, რომლის 47,2 პროცენტი საერთაშორისო გზავნილებია, ხოლო 52,8 პროცენტი - ადგილობრივი გზავნილები.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახვას წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურას:

გრაფიკი №3

წერილობითი კორესპონდეციების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა 2017 წელს



საფოსტო და საკურიერო მომსახურებით დაკავებული საწარმოების მიერ 2017 წლის განმავლობაში გაგზავნილია 6222,7 ათასი წერილობითი კორესპონდენცია და 1912,0 ათასი ამანათი.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge